საინფორმაციო ცნობა

სკკპ XXIII ყრილობის შესახებ

9 აპრილს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, მუშაობას გააგრძობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXIII ყრილობა.

ყრილობა განიხილავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებასა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებას.

სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: ი. ბ. კებინი — ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ა. გრომიკო — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, ი. დ. ფილინოვა — სკკპ ვოლსკის რაიკომის მდივანი (სარატოვის პარტიული ორგანიზაცია), ს. პ. პავლოვი — სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

შემდეგ ყრილობას მიესალმნენ საზღვარგარეთის კომუნისტურ პარტიათა წარმომადგენლები ამხანაგები: მაქს რაიმანი — გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბენრი უინსტონი — ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის დელეგაციის ხელმძღვანელი, ვიქტორიო კოდოვილია — არგენტინის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე. მათ დელეგატები და სტუმრები მხურვალედ შეხვდნენ.

შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო გამოვიდნენ ამხანაგები: ტ. უსუბალიევი — ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ზ. მ. მარკოვი — სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, ვ. ი. კონოტოპი — სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, შ. ა. ტაბეევი — სკკპ თათრეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. შ. შატჩენკო — უკრაინის კომპარტიის დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, მ. ს. სოლომენცევი — სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 65 (3042) 3 1966 წ. აპრილი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1966 წლის 2 აპრილის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკთა დიდი ჯგუფი, იმ მუშაკებს კი, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

დაჯილდოებულთა შორის არიან სამრეწველო საწარმოების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მშენებლობების, ვაჭრობის საუკეთესო მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები, მეცნიერები, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მუშაკები.

დიდი ანგარიშით

ბაქო, 2 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). აქ გრძელდება „ა“ კლასის II ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის მატჩები. მეოთხე კალენდარულ დღეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენებმა დაამარცხეს ღონეცკის „კანალსტროი“ — 78:48 (44:11).

მოსკოვის ოლქის სპარტაკელებმა მოუგეს როსტოველ თანაკლუბელებს — 70:62, მინსკის „სპარტაკმა“ — მოსკოვის „ბურევესტნიკს“ — 77:63, ხოლო ბაქოს ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის გუნდმა — ვილნიუსის „პლასტიკასს“ — 70:60.

დღეს კალათბურთელები ისვენებენ, ხვალ კი ბრძოლები განახლდება.

ა. ჟივინაძე.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 3 აპრილისთვის

	თ.	მ.	წ.	ქ.
„ლოკომ“. (ალმა-ათა)	5	5	0	5
ნავთ. და ქიმ. ინსტ.	5	4	1	4
სპი (თბილისი)	6	4	2	4
„სპარტაკი“ (მინსკი)	6	3	3	3
„ბურევესტნიკი“ (მოსკ).	6	2	4	2
„კანალსტროი“ (დონეცკი)	6	2	4	2
„პლასტიკასი“ (ვილნ.)	6	2	4	2
„სპარტაკი“ (მოსკ. ოლქი)	5	2	3	2
„სპარტაკი“ (როსტოვი)	5	1	4	1

სურათზე: თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელთა გუშინდელ მატჩში საუცხოოდ ითამაშა მასპინძელთა კაპიტანმა იამანიძემ. აი, ახლაც იგი მწვავედ შეიჭრა „ზენიტის“ მეკარის ვოსტროილოვის (მარცხნივ) „სამფლობელოში“...

ფოტო მ. ზარგარიანისა.

გუშინ...

...საინფორმაციო ნაკაწრი

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის XIII ტურში შედარებით ადრე 4 პარტია დამთავრდა. გვენცაძემ ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა ჯინჯიხაშვილს და წააგო. დავითაშვილმა შემტევი პოზიცია მიიღო გიორგაძესთან, მაგრამ იჩქარა მატოქის მეფის დალამქვრით — ფიგურა შესწირა და თავად აღმოჩნდა „გატეხილ გობთან“. ლომაია დამარცხდა მუკნიაშვილთან, ხოლო ბოკუჩავა — ჩეჩელიანთან.

უაღრესად დაძაბულად მიმდინარეობდა გურგენიძე — ჩიქოვანის შეხვედრა. მართალია, თეთრებს ზედმეტი პაიკი ჰქონდათ, მაგრამ მისი რეალიზება დიდ ტექნიკურ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. მეთოდური თამაშით გურგენიძემ ბრძოლა ისეთ ენდშპილში გადაიყვანა, სადაც მისი უპირატესობა უფრო გამოიკვეთა. ეს პარტია გადაიდო. გადაიდო ჩხაიძე — უბილავას პარტიაც. უბილავას ეტლების დაბოლოებაში ზედმეტი პაიკი აქვს.

ბუსლაევთან მწვავე შეტაკებაში ჩაგუნავამ დროს გადააცილა და დამარცხდა. რაზოვსკისთან აშკარად მოსაგები პარტია ალექსანდრიამ ცაიტნოტში წააგო.

13 ტურის შემდეგ რ. ჯინჯიხაშვილს 11 ქულა აქვს, ა. ბუსლაევს—10 ქულა და 1 გადადებული პარტია, თ. გიორგაძეს—9,5 ქულა და 1 გადადებული, ბ. გურგენიძეს—8 ქულა და 2 გადადებული, ე. უბილავას — 8 ქულა და 1 გადადებული.

კვლავ რეკორდები!

მოსკოვი, 2 აპრილი. გუშინ დაიწყო აქაურ და ლენინგრადელ მოცურავეთა ორდღიანი სამატჩო შეხვედრა. ასპარეზობის დასკვნითი დღეც უხვმოსავლიანი გამოდგა. აი, ახალი საკავშირო რეკორდები და მათი ავტორები: 200 მ თავისუფალი სტილით — ს. ბელიც-გეიმანი — 1.58,2; 400 მ კომპლექსური ცურვა — ა. დუნაევი — 4.48,0; 400 მ თავისუფალი სტილით — ვ. ბურე — 4.22,6 (რეკორდი ჰაბუკთა შორის).

ნ. მიხაილოვამ 200 მეტრზე ზურგზე ცურვაში თავისივე საკავშირო მიღწევა გაიმეორა — 2.30,6.

ტრადიციულ მატჩში გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 109:81.

სულ ერთი საათი...

◆ **ჭიტოგრადი**, 2 აპრილი. იუგოსლავიაში სტუმრად მყოფმა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა მეოთხე მატჩი გამართა. ამჯერად იგი შეხვდა ჩერნოგორიის ნაკრებ გუნდს. 80-ე წუთზე ს. მეტრეველის მიერ გატანილმა ბურთმა გადაწყვიტა თამაშის ბედი — 1:0.

◆ **ტურინი**, 2 აპრილი. მოსკოვის „დინამოს“ მოფარიკავეებმა ვ. რასტვოროვამ, გ. გოროხოვამ, ა. ზაბელინამ და ნ. ივანოვამ გამარჯვება იზეიმეს ქვეყნების ჩემპიონთა გუნდურ ასპარეზობაში. მოსკოველებმა დაამარცხეს ბრიუსელის „სერკლ როიალი“ — 9:3, პარიზის „რესინგი“ — 9:1, ბუქარესტის „სტეანა“— 9:2. ფინალში ისინი შეხვდნენ ბუდაპეშტის „უიპეშტის“ სპორტსმენებს (მეტოქეებს მეთაურობდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ი. რეიტო). დაძაბული ბრძოლა ფრედ (8:8) დამთავრდა, მაგრამ ჩხვლეტების უპირატესობის გამო (49:43) გამარჯვება საბჭოთა მოფარიკავეებს მიეკუთვნათ.

◆ **ბოლონია, 2 აპრილი.** ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი გახდა მილანის „სიმენტალის“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდი. ფინალში მან სძლია პრაღის „სლავიას“ — 77:72 (41:35). III ადგილზე გავიდა ამ საპატიო თასის ორგზის მფლობელი — მოსკოვის ცსკა, რომელმაც დაამარცხა ათენის აეკ-ი — 85:62 (42:32).

◆ **გლაზგო**, 3 აპრილი. ინგლისისა და შოტლანდიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების დღეს გამართულ მატჩში გაიმარჯვეს ინგლისელებმა — 4:3.

ტრასაზე ჩემპიონი



თბილისში დამთავრდა თუ არა მოტოკროსმენთა წლევანდელი საკავშირო პირველობის II ეტაპი, მოსკოველმა ვ. არბეკოვმა, რომელმაც ჩემპიონის წოდება გაიბედა, უმალვე აიკრა გუდა-ნაბადი და ჩვენი ქვეყნის ნაკრების სხვა წევრებთან ერთად ესპანეთს გაემგზავრა მსოფლიო პირველობის I ეტაპში მონაწილეობისთვის.

გამგზავრების წინ არბეკოვმა თქვა:

— თბილისის ტრასა კარგად მაქვს დაცდილი. შარშანაც სწორედ მან გამაცილა მსოფლიო ჩემპიონატში და ოქროს მედალიც მოვიგე. წლეულსაც თქვენი დედაქალაქი მილოცავს გზას და იმედი მაქვს, თავს არც ახლა შევირცხვენ.

მართლაც, ბარსელონის მიდამოებში არბეკოვმა ბრწყინვალედ წააბარა პირველი გამოცდა. ორივე სერიაში გამარჯვებით მან აქ შეკრებილ 25 ათას მაყურებელს ერთხელ კიდევ დაუმტკიცა, რომ მსოფლიოში არ ჰყავს ბადალი. 250 კმ სის მოტოციკლებით მსოფლიო ჩემპიონატის II ეტაპი გაიმართება 10 აპრილს, საფრანგეთში.

სურათზე: „ბარსელონის დიდი პრიზის“ მფლობელი ვ. არბეკოვი მსოფლიო პირველობის I ეტაპის ტრასაზე.

ტელეფოტო აპ-საკადრისი».

შეუსრულებელი ბრძანება

თბილისის სახელმწიფო ჩარხების ქარხნის დირექტორის გ. ქართველიშვილის 1965 წლის 28 დეკემბრით დათარიღებული ბრძანება მოკლე და ნათელი იყო. „1966 წლის 3 იანვრიდან ყველა საამქროში დაინერგოს საწარმოო ტანვარჯიში 8 საათსა და 30 წუთიდან 8 საათსა და 40 წუთამდე“.

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. ქარხანაში კი დღესაც აი, რას ამბობენ:

მ. აკოფოვი, ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: „ჩვენთან, საიარაღო წანყობილებაში, 50 კაცი მუშაობს, მაგრამ საწარმოო ტანვარჯიში არ ტარდება. კარგი კი იქნება ტარდებოდეს, ვინაიდან, სხვა რომ არა, ეს შეაძლოა ჩვენი მუშების სპორტით დაინტერესების საფუძველიც გახდეს“.

ბ. ჩიჩელაშვილი, ექთანი: „ჩვენთვის არავის უთქვამს საწარმოო ტანვარჯიში ჩაატარეთო და საექიმო კონტროლი დაწესებულო. ასე რომ ყოფილიყო, ქარხანაში ავადმყოფობის შემთხვევები, ალბათ, ძალიან შემცირდებოდა“.

პ. მალიშევი, მხეხავი: „მექანიკური უბანი ქარხანაში ყველაზე დიდია, მაგრამ საწარმოო ტანვარჯიში არც ჩვენთან ტარდება“.

და აქ, ცოტა არ იყოს, უცნაურად გვეჩვენება საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის ს. ხატიაშვილის თამამი განცხადება იმის თაობაზე, რომ „საწარმოო ტანვარჯიში ქარხნის ხუთივე უბანში ტარდება და ყოველ უბანზე მიმაგრებულია ექთანიც და უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინერიც“.

ქარხანაში კარგა ხანია ელიან, რომ დღეს თუ ხვალ საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი ეყოლებათ. დირექტორი კი აწი აპირებს ეს საკითხი მოსკოვში, შესაბამის სამინისტროებთან შეათანხმოს. ნუთუ ამის მოგვარება შარშან არ შეიძლებოდა?

დირექტორის ბრძანების თანახმად დამტკიცდა საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდური საბჭო. ჩატარდა სემინარი და მუშები ვ. გიკაევი, ო. ბეგიაშვილი, მ. ნარიკაევი, ა. წამალაძე, ა. ძიუბა, ა. ტომანოვსკი, ნ. დემეტრაშვილი და სხვები საწარმოო ტანვარჯიშის საზოგადოებრივი ინსტრუქტორები გახდნენ. ინსტრუქტორები ჰყავთ, ბრძანება დაწერილია. და მაინც, როდისღა დაიწყება ქარხანაში საწარმოო ტანვარჯიში?

ახლა რაც შეეხება ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობას. ქარხანაში გუტყვიან, რომ ჩამოყალიბებულია ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკისა და შაშის, ბადმინტონის, მძლეოსნობისა და ტურიზმის სექციები. ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ თუ ცოტა ღრმად ჩავდევთ საქმეს, გაირკვევა, რომ ამათგან მძლეოსნობისა და კალათბურთის სექციები საერთოდ არ არსებობენ. პირველთანრიგოსანი კალათბურთელი უ. ქოსაშვილი ჯერ მხოლოდ ფიქრობს კალათბურთელებს თავი მოუყაროს და სექცია შექმნას. ჰყავთ რამდენიმე მძლეოსანი, მაგრამ მთელი მათი საქმიანობა დროდადრო კროსებში მონაწილეობით ამოიწურება.

ძალოსნობის სექციაში სულ 7 კაცია. მისი ხელმძღვანელი, პირველთანრიგოსანი ს. ჟურავლიოვი გულისტკივილით გვიამბობს, რომ ადრე საწარმოში მარტლაც ბევრი იყო ამ სახეობის მოყვარული, მაგრამ მათ დაინტერესებას ხელი არავინ შეუწყო. ეს 7 კაციც იმ ერთადერთი შტანგით ვარჯიშობს, რომელიც ჟურავლიოვმა და მისმა ამხანაგებმა თავად გააკეთეს.

— დახმარება გვჭირდება, — ამბობს სექციის ხელმძღვანელი. — სხვა რომ არა, სპორტული ფორმა ხომ გვინდა. ჭამარიც საჭიროა, ფიცარნაგი გამოსაცვლელია, შტანგის ღერძი დაჟანგდა და ვეღარ ვეცადინებით.

ხის დამამუშავებელი საამქროს უფროსს ა. ცაგარეიშვილს ჯერ კიდევ ამ წლის 24. იანვარს დაევალა ძალოსნებისთვის ფიცარნაგი დაემზადებინა. ცაგარეიშვილი კი გაიძახის, მასალა არა გვაქვსო. სინამდვილეში მასალა არის, მაგრამ საამქროს უფროსს ფიცარნაგის ნახაზი დაუკარგავს და საქმეს თავი ვეღარ მოაბა.

მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობისთვის წლეულს ქარხანაში 1.200 მანეთი გამოიყო, მაგრამ სპორტდარბაზში (სხვათა შორის, ამ „დარბაზის“ ფართობი სულ 18×9 მეტრია) ინვენტარს სანთლით ვერ იპოვნით. დღემდე არ მუშაობს შხაპი, არა აქვთ გახახდელები... ერთი სიტყვით, ყველაფერი ღვთის ანაბარაა მიტოვებული.

ეს უზრუნველობა მით უფრო გულდასაწყვეტია, რომ ქარხანაში ბევრი კარგი სპორტსმენია. დავასახელოთ, თუნდაც, მოწინავე მუშები კ. ჩხეიძე, ი. გორდიენკო, ზ. მძინარიშვილი, უ. ქოსაშვილი. ჰყავთ ფრენბურთელთა და ფეხბურთელთა კარგი გუნდებიც (სიტყვამ მოიტანა და არც ფეხბურთელებს აქვთ სათამაშო მინდორი).

რაც მთავარია, ქარხანაში დიდძალი ახალგაზრდობა მუშაობს. სპორტი ბევრს უყვარს და სურს ამა თუ იმ სახეობაში ძალა სცადოს.

დირექცია უნდა დაეხმაროს მათ.

ვ. გუკია.

„ვკითხულობთ ჟურნალ-გაზეთებში...“

△ **შეკითხვა: სპორტის ყოველ მოყვარულს თავისი კერპი ჰყავს. ჩვენ იური ვლასოვის დიდი გულშემატკივრები ვართ. გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით მოკლედ გვიპასუხოთ, რატომ ჩამოშორდა ცნობილი ძალოსანი აქტიურ სპორტს, რამდენი წლის იყო იგი, როცა პირველად გამოჩნდა დიდ სარბიელზე, რა ხნისაა ახლა და ემზადება თუ არა რევანშისთვის?**

ე. კირკიტაძე,

ო. დვალი და სხვ.

ქუთაისი.

ასეთი წერილები ხშირად მოდის რედაქციაში. მართლაც, თითქმის წელიწადნახევარია მსოფლიოს აბსოლუტური რეკორდსმენი ფიცარნაგს არ გაჰკარებია. გაოცებულ გულშემატკივრებს აინტერესებთ, რას აპირებს ჩვენი დროის უდიდესი სპორტსმენი. შევეცდებით მოკლედ მოგითხროთ შესახებ.

იური ვლასოვი დიდ სარბიელზე პირველად 1958 წლის აპრილში გამოჩნდა, როცა სსრ კავშირის პირად პირველობაზე დონეცკში მძიმე წონის ძალოსანთა შორის III ადგილი დაიკავა. მაშინ მან 470 კგ დააგროვა. უკვე იმავე წლის დეკემბერში, სსრ კავშირის გუნდურ პირველობაზე, ვლასოვმა ამ შედეგს 20 კგ დაუმატა და I ადგილზე გადაინაცვლა. 1959 წელს, სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაში, მან ჩემპიონის ოქრის მედალი დაისაკუთრა (495 კგ) და იმავე წელს მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში პირველი დიდი გამარჯვება იზეიმა. შესანიშნავმა ძალოსანმა მანამდე მოიგო მოსკოვის პრიზზე გამართული შეჯიბრება, სადაც პირველად აჩვენა 500 კგ, 1960 წელს კი, რომის ოლიმპიურ თამაშებში ჩემპიონის წოდება მოიპოვა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა სამჭიდში — 537,5 კგ. ასეთი რამ არ ახსოვდა ძალოსნობის ისტორიას. ცნობილი ამერიკელი ათლეტის ჰ. ანდერსონის რეკორდი ერთბაშად 25 კილოგრამით გაუმჯობესდა.

რატომ არ ჩანს ი. ვლასოვი?

ამას მოჰყვა კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი (550 კგ) 1961 წლის დეკემბერში დნეპროპეტროვსკს გამართულ სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაზე. 1962 წელს, მართალია, ვლასოვი კიდევ ერთხელ გახდა მსოფლიო ჩემპიონი (540 კგ), მაგრამ კლასიკურ სამჭიდში მსოფლიო რეკორდი არ გაუუმჯობესებია.

... ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებამდე პოდოლსკში სსრ კავშირის ნაკრების წევრთა ასპარეზობა გაიმართა. ვლასოვმა შეჯიბრება ფენომენალური შედეგით დაამთავრა — 580 კგ! მან დაამყარა მსოფლიოს 4 ახალი რეკორდი: აჭიმვაში — 196, ატაცაში — 170,5, აკვრაში — 215,5 და სამჭიდში (ზემოაღნიშნული კილოგრამები).

ტოკიოს ოლიმპიადაში იგი 2,5 კილოგრამით ჩამორჩა მეორე შესანიშნავ საბჭოთა ძალოსანს ლ. ჟაბოტინსკის (ჟაბოტინსკის შედეგია 572,5 კგ). დღესდღეობით ვლასოვი მსოფლიოს ერთ რეკორდს ფლობს — კლასიკურ სამჭიდში 580 კგ.

რაც შეეხება მომავალს გეგმებს, 30 წლის სპორტსმენი გულმოდგინედ ვარჯიშობს და მისი მწვრთნელის ს. ბაღდასაროვის თქმით, საკმაოდ კარგი შედეგები აქვს.

ხარისხოვნად...

არაერთ და ორ მოწინავე სპორტსმენს აუდგამს ფეხი ქუთაისის ახალგაზრდობის სპორტულ სკოლაში (დირექტორი ს. თორთლაძე). გავიხსენოთ, თუნდაც, ამ ბოლო წლებში აქ დაოსტატებული კალათბურთელები ზ. საყანდელიძე, მ. ქორქია, მოკრივეები ზ. მაჭავარიანი, ჯ. კვანტალიანი და ა. შ.

ზამთრის პერიოდში აქ დიდწყეს სკოლის შენობის რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოები. დღეისათვის სკოლას უკვე შეემატა ორი გასახდელი ოთახი და საშხაპეები, რასაც მოკრივეები იყენებენ. მოეწყო მწვრთნელთა ოთახი. სამუშაოები ხარისხოვნად შეასრულა ქალაქის საბჭოს სამშენებლო-სარემონტო კანტორამ.

სამუშაოები გრძელდება. კეთილმოეწყობა საშხაპეები და გასახდელი ოთახები კალათბურთელთათვის, შეკეთდება ცენტრალური დარბაზი, გამშვენიერდება სკოლას ეზო.

შ. ნიქარაძე.

(ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

წოდებათა მინიჭება

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **სამბოში** — ა. მალაციძეს (კასპის „კოლმეურნე“), ტ. ფიცხელაურს (გორის „მურევანტნიკი“); **მხატვრულ ტანვარჯიშში** — ო. გობეჯიშვილს, ნ. სკრიპუნოვას (ორივენი — თბილისის „ბურევესტნიკი“); **თავისუფალ ჭიდაობაში** — ბ. ბასიაშვილს, ჯ. იმერლიშვილს (ორივენი — თბილისის „ბურევესტნიკი“); **სახტენდო სროლაში** — ვ. წიფურიას (ზუგდიდის „კოლმეურნე“), გ. ხომერიკს, ე. ნადირაძეს (ორივენი — მახარაძის „კოლმეურნე“); **წყალში ხტომაში** — ლ. ფოკინას (სოხუმის „განთიადი“); **აკრობატიკაში** — ვ. სმელიანსკის (რუსთავის „განთიადი“), გ. მთვარელიძეს (თბილისის „სპარტაკი“); **ძალოსნობაში** — დ. შავიშვილს, ა. ხვედელიძეს (ორივენი — თბილისის „ბურევესტნიკი“), ნ. კოსოვს (ბათუმის „სპარტაკი“); **ფრენბურთში** — გ. ბაქრაძეს, ნ. თათარაშვილს, მ. ლორიას (ყველანი — თბილისის „ბურევესტნიკი“).

როცა მეფეს უჭირს...

საჭადრაკო კომპოზიციის ტრფიალია ტყიბულის ლუბომირ სასტრების შახტის ბუღალტერი დავით სახვაძე. მას მრავალი ამოცანა აქვს შედგენილი, რომელთაგან ზოგიერთი რესპუბლიკის პრესაში დასტამბულა. აი, მისი ერთ-ერთი ბოლო ამოცანა.

დ. სახვაძე (ტყიბული)



შამათი 4 სვლაში.

ბავშვობიდან მისდევს კომპოზიციას აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეც-ექსპედიციის აგრონომი ნესტორ ფაღავა, მაგრამ მას დღემდე არ უცდია გულშემატკივართა სამსჯავროზე თავისი ნაწარმოების გამოტანა. ვაქვეყნებთ ნ. ფაღავას ერთ-ერთ ეტიუდს, რომელიც საკმაოდ ძნელი ამოსახსნელია.

ნ. ფაღავა (ბათუმი)

თეორები იწყებენ და აღწევენ ყაიმს.

ამოცანა ამოხსნის

ჩვენი გაზეთის 24 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა ვ. სავჩენკოს (ტყვარჩელი) საჭადრაკო ამოცანა. სწორი პასუხი გამოგზავნეს გ. ქადაგიძემ (თბილისი) და გ. გოგაშვილმა (ქარელის რაიონი, სოფ. რუისი).

ამოხსნა: 1. ეb4. 1. ... კg5 2. მe7 მc4 3. ე:c4 კf5 4. მფ:g7 მg4 5. მ:f7×. საფინალო პოზიცია მოგვაგონებს ციფრს — 45. 1. ... მ:b5 2. კf4+ მფ:e6 3. ეe4+ მფ:d5 4. ეe5+ და 5. ეd5×.

გემაიორი არ გამოვლინდა

თბილისის მოშაშეთა პირველობის დასკვნით, XV ტურში ასპარეზობის ლიდერმა პაწკაჭიანმა ყარმით დამთავრა შეხვედრა მამაკოცთან, ამით „ისარგებლა“ ბარამიძემ, რომელიც ციმბალისტს ეთამაშებოდა: მან ენერგიულად ჩატარა პარტია და გაიმარჯვა.

ამრიგად, I-II ადგილები გაიყვეს ოსტატებმა თ. ბარამიძემ და ს. პაწკაჭიანმა (12,5-12,5 ქულა). III ადგილი წილად ხვდა გ. ციმბალისტს (10,5), IV — ოსტატობის კანდიდატს ი. სპესივცევს (10), V—თ. ჩერკაშინს (9). ხუთივე გამარჯვებული მოშაშე მონაწილეობას მიიღებს საქართველოს წლევანდელ პირველობაში, რომელიც 20 აპრილს ქუთაისში დაიწყება.

თბილისის ჩემპიონის გამოსავლენად თ. ბარამიძე და ს. პაწკაჭიანი დამატებით მატჩში (6 პარტია) შეხვდებიან ერთმანეთს.

ჯ. ხერგიანაშვილი.

ლენინგორი

მაგიდის ჩოგბურთელთა პირველობაში 13 სპორტსმენი მონაწილეობდა. ყველა შეხვედრა მოიგო და რაიონის ჩემპიონი გახდა ადგილობრივი საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე მ. მარგიევი.

ა. მარგიევი.

ცხაკაია

გაიმართა „სპარტაკის“ რაიონული საბჭოს დამფუძნებელი კონფერენცია, რომელმაც რაისაბჭოს თავმჯდომარედ აირჩია გ. ბოკუჩავა.

ჟ. გუგუნავა.

ჩოხატაური

16 გუნდი მონაწილეობდა რაიონის საშუალო და 8-წლიანი სკოლების მოჭადრაკეთა გუნდურ პირველობაში. საშუალო სასწავლებლებში ყველას აჯობა ჩოხატაურის I სკოლამ, ხოლო 8-წლიანებში — ქვენოზნის სკოლამ.

დ. გურგენიძე.

ასპინძა

მოჭადრაკე ვაჟთა რაიონულ პირველობაში მონაწილეობდა 24 კაცი. ჩემპიონის სახელო დაისაკუთრა ასპინძის კულტსახლის დირექტორმა ო. ცინცაძემ. II ადგილზე გავიდა სოფელ დამალის საშუალო სკოლის მასწავლებელი ჰ. მარკოსიანი, ხოლო III — სოფელ ხიზაბავრის საშუალო სკოლის მასწავლებელი შ. დათაშვილი. სამმა მოჭადრაკემ შეასრულა II თარიგი.

ვ. ცინცაძე,

შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ლენინგორი

მაგიდის ჩოგბურთელთა პირველობაში 13 სპორტსმენი მონაწილეობდა. ყველა შეხვედრა მოიგო და რაიონის ჩემპიონი გახდა ადგილობრივი საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე მ. მარგიევი.

ა. მარგიევი.

კისლოვოდსკის ჰავა მოუხდათ...

კისლოვოდსკში სამ დღეს გრძელდებოდა „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა ცურვაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, ლატვიის, უზბეკეთის, საქართველოსა და კისლოვოდსკის გუნდები.

საქართველოს სპორტსმენები პროგრამის ყველა სახეობაში კარგად გამოვიდნენ. მათ I ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვეს. II ადგილი დაიკავა მოსკოვის გუნდმა, ხოლო III — ბელორუსიის კოლექტივმა.

საქართველოს მოცურავეებმა პირად ჩათვლაშიც იმარჯვეს. გოგონათა შორის ჩემპიონები გახდნენ: მ. საღარაძე — 50 და 100 მეტრზე ზურგზე ცურვაში — 39,6 და 1.26,5; ი. ოვჩინიკოვა — 50 და 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 32,3 და 1.13,1; ს. გაბრაძე — 50 და 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში — 37,3 და 1.28,2.

ჭაბუკებში გაიმარჯვეს: თ. წყაროველმა — 50 და 100 მეტრზე ბრასით — 35,3 და 1.17,5; ვ. ონუფრიენკომ — 400 მ თავისუფალი სტილით და 100 მ ბატერფლაით — 5.37,5 და 1.22,9; ზ. ხურცილავამ — 100 მეტრზე თავისუფალი სტილით — 1.03,8.

ქალიშვილებში ჩემპიონი გახდა რ. გოჩიტაშვილი. მან ყველას აჯობა 50 და 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში — 36,7 და 1.25,4.

საპრიზო ადგილები მოიპოვეს ჯ. ჭაბაკაურმა, ს. კუზმინმა, ე. მძინარიშვილმა, დ. მიკიჩაშვილმა, ლ. ბულკინამ, ნ. ვილბაუმმა და ვ. ფილატოვმა.

ი. რუხაძე,

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

წინაა ჩემპიონატი

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 2 აპრილი.

„დინამო“ (თბილისი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 2:0 (1:0).

„დინამო“: ურუშაძე, პეტრიაშვილი, ჭილაძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, იამანიძე, დათუნაშვილი, ბარქაია, ხუციშვილი, მაისურაძე.

„ზენიტი“: ვოსტროილოვი, ნეპომილუევი, სოვეიკო (დერგაჩოვი), ბელკოვი, ალამი, სადირინი, ზავიდონოვი, გუსევი, ნაუმოვი, ბურჩალკინი, ვასილიევი.

მსაჯი ი. ბოკორაძე (თბილისი).

„ზენიტი“ — სულ ახლახანს ნახა ჩვენმა მაყურებელმა თბილისის საერთაშორისო ტურნირში. ნახა გუშინაც. რა თქმა უნდა, დიდი განსხვავებაა ამ გუნდის მაშინდელ და ახლანდელ თამაშს შორის, ვინაიდან ლენინგრადელებმა მას შემდეგ ღია ცის ქვეშ ჩაატარეს წვრთნაც და საკონტროლო მატჩებიც და ამდენად მათი ახლანდელი სპორტული ფორმა და სიძლიერე სულ სხვაა.

სპარინგ-მატჩს „ზენიტთან“ ჰქონდა კიდევ ერთი საგანგებო მნიშვნელობა. ეს გუნდი „ა“ კლასის მუდმივი სამუალო ბინადარის გარკვეულ ეტალონს წარმოადგენს და თუ გავითვალისწინებთ, რომ წლეულს პირველ წრეში ჩემპიონატის მოწინავე კოლექტივებს არ ეყოლებათ თავიანთი უძლიერესი მოთამაშეები, შეგვიძლია მათი საერთო ძალა დაახლოებით „ზენიტის“ დონეზე ვივარაუდოთ. ეტყობა, გათამაშების ეკვატორამდე ასეთ მოწინააღმდეგეებთან გვექნება საქმე. ამიტომ ლენინგრადელთა გუნდი ერთგვარ ფონს წარმოადგენს თბილისელთა საერთო მომზადების შესამოწმებლად.

დინამოელებმა პირველივე წუთებიდან ხელთ აიღეს თამაშის სადავეები. მათი ტემპი, შეუნელებელი, სწრაფი იერიშები მეტოქეს არ აძლევდა კონტრშეტევის განვითარების საშუალებას და სტუმრების ეპიზოდური გარღვევები მხოლოდ ბურჩალკინისა და ნაუმოვის ოსტატობაზე იყო აგებული. რამდენიმე გამოუყენებელი კარგი შესაძლებლობის შემდეგ პირველ ტაიმში ანგარიში გახსნა მაისურაძემ, რომელმაც კარგად დაასრულა დათუნაშვილის გადაცემა — 1:0.

შესვენების შემდეგ თამაშის ტემპი საგრძნობლად დაცხრა, თავი იჩინა დაღლილობამ. „ზენიტს“ კიდევ ერთხელ მოუხდა ცენტრიდან თამაშის დაწყება მას შემდეგ, რაც იმავე მაისურაძემ საუკეთესოდ გამოიყენა ვოსტროილოვის შეცდომა (იგი შორს გამოვიდა კარიდან) და თავს ზემოდან გადაუგდო ბურთი — 2:0.

რ. ჟორიძე.

ფეხბურთი

გუშინწინდელ საკონტროლო მატჩში ქუთაისის „ტორპედოსა“ და ერევნის „არარატს“ შორის კარგად ითამაშა ქუთაისელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ჯ. ბაჟალიამ.

ზედა სურათზე: ბაჟალია მორიგი გარღვევის დროს.

მარჯვენა სურათზე თქვენ ხედავთ სიახლეს ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე: აქ მოაწყეს ელექტრული განათება. ზაფხულის ცხელ თვეებში ქუთაისში შესაძლებლობა იქნება თამაშები ჩატარდეს საღამოს საათებში.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

სიახლე ქუთაისის სტადიონზე

15 + X = 16

ხელგურთი

1967 წლის 12-21 იანვარს შვეიცარიაში გაიმართება ხელბურთელ ვაჟთა მორიგი, VI მსოფლიო ჩემპიონატი. ამ დიდ შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 25 ქვეყანამ, ფინალში კი სულ 16 გუნდი დაიშვება. როგორც ცნობილია, გაიმართა შესარჩევი მატჩები ფინალისტთა გამოსავლენად. თუმცა 4 ქვეყნის გუნდები ფინალში „სისხლის დაუღვრელად“ გავიდნენ. ესენი არიან: **რუმინეთი** (როგორც მსოფლიო ჩემპიონი), **შვეცია** (როგორც ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა), **იაპონია** (როგორც აზიის ერთადერთი წარმომადგენელი) და **არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა** (აფრიკის ზონა), ვინაიდან მისმა მეტოქემ — ტუნისმა ტურნირში მონაწილეობაზე უარი თქვა. დანარჩენებმა შვეიცის საგზურები საკვალიფიკაციო ჯგუფებში ბრძოლით მოიპოვეს. ეს ქვეყნებია **ჩეხოსლოვაკია, ნორვეგია, გფრ, შვეიცარია, გდრ, სსრ კავშირი, დანია, პოლონეთი, უნგრეთი, საფრანგეთი** და **იუგოსლავია**.

ფინალის მეთექვსმეტე მონაწილე ცნობილი გახდება აშშ — კანადის ხელბურთელთა განმეორებითი მატჩის შემდეგ.

გადავხედოთ საკვალიფიკაციო ჯგუფების გათამაშების ცხრილებს:

ევროპის ზონა

I ჯგუფი

ნორვეგია — ავსტრია 12:17 და 24:12, ჩეხოსლოვაკია — ავსტრია 35:15 და 22:19, ჩეხოსლოვაკია — ნორვეგია 15:8 და 22:20.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ჩეხოსლოვაკია	4	4	0	0	94:62	8
ნორვეგია	4	1	0	2	63:66	2
ავსტრია	4	1	0	2	63:93	2

II ჯგუფი

შვეიცარია — ბელგია 36:19 და 31:14, შვეიცარია — ჰოლანდია 13:8 და 14:8, ჰოლანდია — ბელგია 19:14 და 21:15, გფრ — ბელგია 26:6 და 37:18, გფრ — ჰოლანდია 17:8 და 18:13, გფრ — შვეიცარია 14:13. ამ ჯგუფში ჩასატარებელია გფრ — შვეიცარიის განმეორებითი მატჩი, თუმცა მისი შედეგი ფინალისტთა ბედზე უკვე ვეღარ იმოქმედებს.

გფრ	5	5	0	0	112:58	10
შვეიცარია	5	4	0	1	107:68	8
ჰოლანდია	6	2	0	4	77:91	4
ბელგია	6	0	0	6	86:170	0

III ჯგუფი

გდრ — ფინეთი 26:16 და 27:9, სსრ კავშირი — ფინეთი 26:11 და 24:15, გდრ — სსრ კავშირი 24:16 და 13:17.

გდრ	4	3	0	1	90:58	6
სსრ კავშირი	4	3	0	1	83:63	6
ფინეთი	4	0	0	4	51:103	0

IV ჯგუფი

დანია — პოლონეთი 23:16 და 14:18, პოლონეთი — ისლანდია 27:19 და 21:23, დანია — ისლანდია 17:12. ამ ჯგუფშიც უნდა გაიმართოს 1 მატჩი: დანია — ისლანდია (ამ შეხვედრის შედეგი ფინალისტთა ბედზე ვერ იმოქმედებს).

დანია	3	2	0	1	53:46	4
პოლონეთი	4	2	0	2	82:78	4
ისლანდია	3	1	0	2	54:65	2

V ჯგუფი

საფრანგეთი — ესპანეთი 14:14 და 22:12, უნგრეთი — ესპანეთი 24:15 და 26:17, უნგრეთი — საფრანგეთი 10:10 და 31:17.

უნგრეთი	4	3	1	0	91:59	7
საფრანგეთი	4	1	2	1	63:67	4
ესპანეთი	4	0	1	3	58:86	1

ხმელთაშუა ზღვის ზონა

იუგოსლავია — ისრაელი 23:11 და 19:11.

იუგოსლავია	2	2	0	0	42:11	4
ისრაელი	2	0	0	2	11:42	0

ამერიკის ზონა

აშშ — კანადა 26:24. სანამ ტორონტოში განმეორებითი მატჩი არ გაიმართება, გარკვეულს ვერაფერს ვიტყვით. აშშ თუ კანადა?..

* * *

მომავალი ჩემპიონატის ფინალისტთა შორის ვხედავთ წინა, V პირველობის (ჩეხოსლოვაკია, 1964 წ.) თითქმის ყველა მონაწილეს. ჯერჯერობით მხოლოდ ერთმა — ისლანდიამ დომო პოზიციები. მისი ადგილი ფინალში პოლონეთმა დაიკავა.

ჯ. ენუქიძე.

ესიტყვოდ...

ნახ. ა. ერაძისა.

ხულიგნები დაისაჯნენ

როგორც ჩვენს გაზეთში იყო გამოქვეყნებული, საქართველოს პირველობის მატჩში ბორჯომის „განთიადსა“ და გორის „ქართლს“ შორის, თამაშის მსვლელობაში მინდორზე მუშტი-კრივი გამართეს ბორჯომელმა ფეხბურთელმა ი. პეტროსიანმა და გორელმა ნ. ხაჩიროვმა.

ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ განიხილა წესრიგის დამრღვევთა საკითხი. ხულიგნებს — ი. პეტროსიანსა და ნ. ხაჩიროვს მიეცათ დისკვალიფიკაცია I წრის ბოლომდე.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა სპორტტექნიკური კომისიის გადაწყვეტილება და გააფრთხილა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მონაწილე გუნდების ხელმძღვანელები, რომ წესრიგის დამრღვევთ არ ექნებათ არავითარი დანდობა. მომავალში მათ მიმართ მიიღებენ კიდევ უფრო მკაცრ ზომებს.

„ვეჩერნი თბილისის“ პრიზზე

თბილისის ფეხბურთის ფედერაციის მიერ დაგეგმილ ღონისძიებათა შორის ერთ-ერთი უმთავრესია გაზეთ „ვეჩერნი თბილისის“ პრიზი, რომელიც ბოლო წლებში მტკიცე ტრადიციად დამკვიდრდა.

ახლახან დამთავრდა სპორტსაზოგადოებათა კოლექტივების შეჯიბრებები (I ეტაპი). მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარდა გათამაშება „განთიადში“, „სპარტაკში“, მაგრამ ყველაზინდებურად ჩამორჩება ფეხბურთის განვითარება უმაღლეს სასწავლებლებში. საკმარისია ითქვას, რომ „ბურევესტნიკის“ ასპარეზობაში მონაწილეობდა სულ 4 კოლექტივი. იგივე იმეორებს „ლოკომოტივზე“, თუმცა მას ყველა პირობა აქვს კიდევ უფრო მასობრივად განვითარდეს სპორტის ეს სახეობა.

I ეტაპის შეჯიბრებაში გამარჯვებულ 8 გუნდს შორის მოეწყო კენჭისყრა და დღეს მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონზე დაიწყება გადამწყვეტი შეხვედრები. ამ დღეს აქ ითამაშებენ „თოლია“, „სინათლე“, კიროვის ქარხნის გუნდი და სხვა კოლექტივები. თამაშები დაიწყება 10 საათზე.

ი. გოგორაძე.

საქალაქო კატეგორიის მსაჯი.

ბაკურიანშიც შევა ელმავალი

ვის არ უყვარს ბაკურიანი — საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხე.

ამ წარმტაცი ადგილის, შეხანშეხავი სამთო-სათხილამურო ბაზის ხვრაფ გვნვითარებას რკინიგზის ტრანსპორტის პრობლემაც აფერხებდა.

თუ თბილისიდან ბორჯომამდე 150 კილომეტრის გავლას ელექტრომატარებელი სამსაათნახევარს უნდება, ბორჯომიდან ბაკურიანამდე 38 კილომეტრის დასაძლევად თითქმის ამდენივე დროა საჭირო. ამის მიზეზი იმდენად ბაკურიანის ბაზის მთიანი რელიეფი კი არ არის, რამდენადაც მოძველებული ორთქლმავლები. პატარა, ვიწროლანდაგიანი მატარებელი, რომელსაც საალერსოდ „კუკუშკა“ შეარქვეს; 65 წელია დადის ამ ბაზზე. მან უკვე მოჯამა თავისი დრო.

და აი, წლევანდელი წლის ბოლოს ორთქლმავალს ანაც თანამედროვე ელმავალი შეცვლის. ბორჯომ — ბაკურიანის ბაზის ელექტროფიცირებით მატარებლების სისწრაფე ორჯერ გაიზრდება და, მაშასადამე, ამაღლდება გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობაც.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, სსრ კავშირის ტრანსპორტის სამინისტროს კავკასიის სახელმწიფო საპროექტო-საძიებო ინსტიტუტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის ელექტროტექნიკური საშეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ორმოცდაათზე მეტმა სპეციალისტმა ერთობლივი მუშაობით სპეციალურ საწყისებზე შეამზადა ბაკურიანის განსატოების ელექტროფიცირების პროექტი. ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტროფიკაციის სამსახურის მთავარი ინჟინერის ი. თოფჩიშვილის ხელმძღვანელობით საზოგადოებრივი ბიუროს მიერ დამუშავებულმა პროექტმა გზათა მიმოსვლის სამინისტროში უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

„ბაკურიანსკი როის“ რკინიგზის ელექტროფიცირების სამუშაოებს შარშან შეუდგა. მშენებლები ამ დღეებში ქსნელის მეათასე საყონტაქტო საყრდენს დააყენებენ. რკინისა და რკინა-ბეტონის ბოძების დაყენება ბორჯომიდან ლებანამდე უკვე დამთავრდა და მალე ბაზის გაჰიმვაც დაიწყება. ბორჯომსა და საკოპაოში შენდება ქვესადგურები, რომლებიც ელმავლებს მუდმივი დენით მოამარაგებს.

მალე ბორჯომის საორთქლმავლო დეპოს რეკონსტრუქციაც დაიწყება.

გაივლის ერთ წელზე ცოტა დრო და ბაკურიანში პირველი ელმავალი შესრიალდება. სპორტსმენებისთვის, სათხილამურო სპორტის მოყვარულებისთვის ეს იქნება კარგი საჩუქარი და, ცხადია, ისინიც მშენებლების მისამართით ბევრ ჯერ იტყვიან მადლობას.

ა. ვენაძე.

ზღვისპირა კორტებზე

ბათუმი (ჩვენი კორ.). აქ სავარჯიშოდ ჩამოვიდა სსრ კავშირის ჩოგბურთელთა ხარება გუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონები და პრიზიორები — ტ. სიმონი, გ. ბაკშეევა, ა. გმიტრიევა, ა. მეტრეველი და სხვ.

24-ე ხარეშონტო მატარებელი ბორჯომ — ბაკურიანის ბაზის ელექტროფიცირების სამუშაოებს შარშან შეუდგა. მშენებლები ამ დღეებში ქსნელის მეათასე საყონტაქტო საყრდენს დააყენებენ. რკინისა და რკინა-ბეტონის ბოძების დაყენება ბორჯომიდან ლებანამდე უკვე დამთავრდა და მალე ბაზის გაჰიმვაც დაიწყება. ბორჯომსა და საკოპაოში შენდება ქვესადგურები, რომლებიც ელმავლებს მუდმივი დენით მოამარაგებს.



თბილისს დაამშვენებს

ახალ ხუთწლედში ჩვენი დედაქალაქის არქიტექტორულ ანსამბლს კიდევ რამდენიმე სპორტული ნაგებობა შეემატება. ახალგაზრდა დამპროექტებლების ნამუშევრებში იგრძნობა ეროვნული ხელწერა და ქართული კოლორიტი, გემოვნებით არის შერჩეული მომავალ მშენებლობათა ადგილი, გათვალისწინებულია თბილისის რელიეფი.

თანამედროვე სტილშია გადაწყვეტილი პროექტი საცურაო აუზისა, რომელიც სანაპიროზე, მდინარე ვერის ხეობაში აიგება. პროექტის ავტორია არქიტექტორი შ. ყავლაშვილი.

აუზი იმუშავებს გათბობით, დღეში 250 სპორტსმენს მოემსახურება და 6.000 მაყურებელს დაიტევს. იგი განკუთვნილია წყალჯომარდობის ყველა სახეობაში ასპარეზობისთვის. აქვე აიგება „მშრალ“ ცურვაში სამეცადინო და ტანვარჯიშის დარბაზები. გარდა ამისა, ტერიტორიას დაამშვენებს ღია სპორტული მოედნების კომპლექსი, ადმინისტრაციის შენობას კი ყოველგვარი დამხმარე სათავსოები ექნება.

ობიექტის მშენებლობა წლეულს დაიწყება.

თ. ვაჩეიშვილაძე.

* * *

სურათზე: ასეთი იქნება ახალი აუზი სანაპიროზე.

ფეხბურთი

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

„ვაშაში“ მესამეა

უნგრეთის ახლახანს დაწყებულ ჩემპიონატში სულ 3 ტური ჩატარდა. III ტურში ჩემპიონმა — ბუდაპეშტის „ვაშაშმა“ დაამარცხა „ჩეპელი“ — 2:0, ექს-ჩემპიონმა „ფერენცვაროშმა“ კი გასვლითი მატჩი წააგო დიოროში, ადგილობრივ „ვაშაშთან“ — 0:2.

„ჰონვედმა“ მოუგო „ოზდის“ (2:0) და ლიდერობა დაისაკუთრა.

აი, ლიდერთა სამეული:

	თ.	ბ.	ქ.
„ჰონვედი“ (ბუდაპეშტი)	3	6:2	6
მტკ (ბუდაპეშტი)	3	8:1	5
„ვაშაში“ (ბუდაპეშტი)	3	5:2	5

წინ არიან დედაქალაქის გუნდები

ბოლო ტურში დაკარგული 1 ქულის მიუხედავად, სოფიის „ლევსკი“ (მან ფრედ ითამაშა სოფიის „სპარტაკთან“ — 1:1) გათამაშებას ლიდერობს. „ჩერვენო ზნამიამ“ (სოფია) მოუგო „დუნავს“ — 2:0.

აი, ლიდერთა ხუთეული:

	თ.	ბ.	ქ.
„ლევსკი“ (სოფია)	16	35:16	24
„ჩერვ. ზნამია“ (სოფ.)	15	25:12	22
„სპარტაკი“ (სოფია)	17	21:13	20
„ლოკომოტ.“ (სოფია)	17	26:18	19
„სლავია“ (სოფია)	16	21:17	19

დარჩა 4 ტური

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში განცდილი მარცხის შემდეგ ლისაბონის „ბენფიკას“ არც საკუთარ ჩემპიონატში წყალობს ბედი. ბოლო ტურში იგი გასვლით მატჩში დამარცხდა „ვიმარესთან“ — 2:3. ლისაბონის „სპორტინგმა“, რომელიც ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში „ბენფიკას“ ერთადერთი სერიოზული კონკურენტია, დაამარცხა კოიმბრას „აკადემიკა“ — 5:2.

აი, როგორია გათამაშების ცხრილი ლიდერთა შორის:

	თ.	ბ.	ქ.
„სპორტინგი“	21	60:19	34
„ბენფიკა“	22	68:25	34
„ფკ პორტო“	21	30:20	25
„გიმარესი“	20	40:35	25

ამჯერადაც მოგება

გფრ-ის ჩემპიონატის ბოლო ტურში დორტმუნდის „ბორუსიამ“ მორიგი გამარჯვება მოიპოვა: ამჯერად მან დაამარცხა „ჰანოვერ 96“—4:0. დასავლეთ ბერლინის „ტასმანია 1900“ სასტიკად დამარცხდა „მაიდერიჰერ შპორტფერაინთან“—0:9.

27 ტურის შემდეგ პირველი ექვსეული ასე გამოიყურება:

	თ.	ბ.	ქ.
„ბორუსია“	27	61:25	42
„ბაიერნი“	27	61:27	40
„მაუნხენ 1860“	26	55:31	38
„ფკ კოლნი“	27	51:31	35
„ვერდერი“	27	55:34	33
„ფკ ნიურნბერგი“	27	43:34	32

გრიგალი გზატკეცილებზე...

პროფესიონალ ველოსიპედისტებს აქვთ რამდენიმე კლასიკური რბოლა, სადაც გამარჯვება დაახლოებით ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც, ვთქვათ, მსოფლიო ჩემპიონატში. ერთ-ერთი ასეთი შეჯიბრება გახლდათ რბოლა მილანი—სან-რემო, რომელიც წლეულს უკვე 57-ჯერ ჩატარდა.

რბოლის წინ ერთ-ერთი ჟურნალისტი წერდა: ჰკითხეთ ნებისმიერ მილანელს, როდის მოიგეს იტალიელებმა უკანასკნელად ეს შეჯიბრება და უმალ მიიღებთ პასუხს — 1953 წელსო. იტალიაში, მართლაც, კარგად ახსოვთ დღე, როცა სახელგანთქმულმა ლ. პეტრუჩიმ მშვიდად გადაკვეთა ფინიშის ხაზი. მას შემდეგ 12 წელია იტალიელები სან-რემოში მარცხდებიან.

...სტარტი მილანში 80-მა უძლიერესმა იტალიელმა და 110-მა უცხოელმა პროფესიონალმა ველოსიპედისტმა აიღო. რბოლის ტემპი იმდენად მაღალი იყო, რომ ლიდერთა ჯგუფი მხოლოდ 230 კილომეტრის შემდეგ გამოიკვეთა. ჯგუფში 11 ველოსიპედისტი შედიოდა.

იტალიელები ამჯერად თავს არხეინად გრძნობდნენ: ამ 11 სპორტსმენიდან 5 მათი წარმომადგენელი იყო. მათ შორის, იტალიის ჩემპიონი მ. დანჩელი და ძლიერი ფინიშის მქონე ა. დიურანტე. „ინტერნაციონალური ლეგიონი“ ლიდერთა ჯგუფში ორი ფრანგით, ორი ბელგიელით, თითო შვეიცარიელითა და ჰოლანდიელით იყო წარმოდგენილი.

.. რბოლის უკანასკნელი კილომეტრი. ახალგაზრდა ბელგიელი ე. მერკსი ამაოდ ცდილობს დაწინაურდეს. იტალიელები ყურადღებად არიან ქცეულნი.

...ფინიშამდე 300 მეტრია. ძლიერი ბიძგით წინ გადის დიურანტე. იგი სულ მეტად შორდება ლიდერებს. იტალიელია მაისური თითქმის აღარც ჩანს, მაგრამ აი, ჯგუფს გამოეყო მერკსი, რომელიც ფანტასტიკურ სისწრაფეს ავითარებს. ფინიშამდე 20 მეტრიღა დარჩა, როცა ბელგიელმა გრიგალივით ჩაუქროლა დიურანტეს და ზედ ფინიშთან 1 მეტრი მოუგო. ამასობაში, მეორე ბელგიელი ვან სპრინგელი გაოცებული მაყურებლების თვალწინ მ. დანჩელს „ჯიბიდან აცლის“ III ადგილს.

ე. მერკსს შარშან ივნისში, 21 წელი შეუსრულდა. მან სენსაციური გამარჯვება მოიპოვა 1964 წელს მოყვარულთა მსოფლიო ჩემპიონატში, დღეს კი მსოფლიოს უძლიერეს პროფესიონალ ველოსიპედისტად ითვლება. სპეციალისტები ამ ახალგაზრდა სპორტსმენში გზატკეცილის „ბელგიელი მეფეების“ ვან სტეენბერგენისა და ვან ლოის დირსეულ მემკვიდრეს ხედავენ.

მერკსმა მილანი — სან-რემოს ტრასის (288 კმ) გავლას 6 საათი და 40 წუთი მოანდომა, რაც საათში 43 კილომეტრს უდრის.

პროფესიონალთა მეორე დიდი შეჯიბრება — „სარდინიის ტური“ 5 ეტაპისგან შედგებოდა. პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ ველოსიპედისტები თბომავალზე გადასხდნენ და სარდინიაში ჩავიდნენ. საინტერესო და დაძაბული ველორბოლის ეტაპები მოიგეს: ვ. ადორნიმ (იტალია), ჯ. პრეციოზიმ (იტალიელი, რომელიც ბელგიაში ცხოვრობს), ბ. ვან დე კერხოვმა (ბელგია), ჟ. სტაბლინსკიმ (საფრანგეთი) და დ. ცანდეგუმ (იტალია). მაგრამ რბოლის ჩემპიონი მათგან ვერც ერთი ვერ გახდა. გამარჯვება მიეკუთვნა „რკინის ნორმანდიელს“ ჟ. ანკეტილს, რომელმაც მხოლოდ ბოლო ეტაპზე დაიკავა II ადგილი. ანკეტილს 35 წამით ჩამორჩა გ. ბატისტინი და 55 წამით — ფ. ვიჩენტინი (ორივე იტალიელია).

ჟ. ანკეტილი ამ რბოლას ზამთრის ვარჯიშთა დამამთავრებელ ციკლად მიიჩნევდა და მას მოგებას არც აპირებდა. შეჯიბრების შემდეგ „რკინის ნორმანდიელმა“ განაცხადა:

— უნდა გამოგიტყდეთ, რომ სეზონის პირველ მნიშვნელოვან რბოლად „პარიზ — ნიცას“ ვთვლიდი. „ჯირო სარდინიის“ მოგებამ დამარწმუნა, რომ, კარგი ღვინისა არ იყოს, რაც უფრო გბერდები, მით უფრო მაგარი ვარ“.

ერთი კვირის შემდეგ კი სტარტი მიეცა სწორედ იმ რვაეტაპიან რბოლას („პარიზ—ნიცას“), რომლის შესახებაც ანკეტილი ლაპარაკობდა.

პირველი ორი ეტაპი იტალიელებმა ვ. ადორნიმ და ა. დიურანტემ მოიგეს. მესამეზე წინ იყო რ. ალტიგი (გფრ), რომელმაც 3 წამით გაუსწრო ანკეტილსა და პულიდორს. IV ეტაპი რიგ ვან ლოის უპირატესობით აღინიშნა. ბელგიელმა კინაღამ მომდევნო ეტაპზეც გაიმარჯვა, მაგრამ ზედ ფინიშთან მას ჰოლანდიელმა ხ. გელდერმანსმა გადაუსწრო.

სენსაციური გამოდგა VI ეტაპი. დასტანციის პირველი ნახევარი იტალიელმა არმანი მოიგო. ორსაათიანი შესვენების შემდეგ ველოსიპედისტებმა სტარტი აიღეს 36 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში. და სწორედ აქ, თავის საყვარელ სახეობაში, ანკეტილმა რ. პულიდორისგან მოულოდნელი მარცხი იწვნია.

პულიდორი, რომელსაც ფრანგები მეტსახელად „პუპუს“ ეძახიან, რბოლას 6 ეტაპის შემდეგ ჩაუდგა სათავეში. მთავარი მეტოქე — ანკეტილი მას 36 წამით ჩამორჩებოდა. ლიდერად მდგომარეობა არც ბოლოსწინა ეტაპამ შეცვალა (ეტაპი იტალიელი მ. დანჩელისა იყო).

რბოლის ბოლო, 167-კილომეტრიანი მონაკვეთი სირთულით არ გამოირჩეოდა. აქ არ იყო არც ერთი გრძელი და მომჭანცველი აღმართი, არც თავბრუდამხვევი თავდღმართი. სწორედ ამიტომ, სპეციალისტთა უმრავლესობას რბოლის მომავალ ჩემპიონად პულიდორი მიაჩნდა. მაგრამ „ფორდ-ფრანსის“ ფირმის ველოსიპედისტებმა, რომლის ინტერესს ანკეტილიც იცავდა (იხ. სურათი), გადაწყვიტეს თავიანთი ლიდერისთვის ხელი შეეწყოთ. და აი, პულიდორის წონასწორობიდან გამოყვანის მიზნით, წინ გადის ჯერ ჟ. სტაბლინსკი.

პულიდორი უმალ აედევნა მას. შემდეგ სტაბლინსკის ხერხს ჰოლანდიელი ა. დენ ხარტოგი მიმართავს. პულიდორი მასაც ეწევა. რამდენიმე კილომეტრის შემდეგ ჰოლანდიელი იმეორებს ამ ტაქტიკურ მანევრს და გამწარებული ლიდერი კვლავ „ეხმაურება“ მას. პულიდორს დაღლილობა დაეტყო. სწორედ ამ ხელსაყრელ მომენტში ძლიერი ბიძგით წინ გადის ანკეტილი. ლიდერს მისი დადევნების თავი აღარ აქვს, ნორმანდიელი კიდევ უფრო უმატებს ტემპს და ნიცაში ფინიშის ხაზს პირველი კვეთს.

8 ეტაპის ჯამში ანკეტილმა პულიდორს 48 წამი მოუგო. III ადგილზეა იტალიელი ვ. ადორნი.

ფრანგულმა პრესამ მკაცრად გააკრიტიკა პულიდორის ტაქტიკური უმწეობა.

მ. ბარამია.



▲ სან-ვალენი (აშშ). სამოთხილამურეთა აქ გამართულ საერთაშორისო ასპარეზობაში მრნა-წილეობდნენ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტები. სლალომისტ ქალთა შეჯიბრება მოიგო ოლიმპიურმა ჩემპიონმა მ. გოიჩელმა. II იყო ა. ფამოზი (ორივენი — საფრანგეთი). გოიჩელმა გაიმარჯვა გიგანტურ სლალომშიც. ვაჟებში ყველას აჯობა ფრანგმა ჟ. კილმა. II-III ადგილები მოიპოვეს ავსტრიელებმა კ. შრანცმა და ე. ნინდლმა. საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ფრანგებმა — 205 ქულა. II იყო ავსტრია — 197, III — შვეიცარია — 105.

▲ ლოს-ანჟელოსი. მძლეოსანთა შეჯიბრებაში, რომელიც წლეულს პირველად გაიმართა სტადიონზე, სამგზის გამარჯვება იზეიმა ახალგაზრდა ვან დერშოჯმა. მისი შედეგებია: 110 მეტრზე თარჯრბენში — 14,0, 400 მეტრზე თარჯრბენში — 50,0 და 400 მეტრზე რბენაში — 47,4. ჰოკით ხტომა მოიგო რ. ვილსონმა — 508 სმ.

▲ სან-დიეგო. ბ. რივერსმა (აშშ) 200 მეტრი ბარიერებს 20,5 წამში, ხოლო იამაიკელმა რ. მილერმა — 100 მეტრი — 10,2 წამში.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

5 აპრილს

საქართველოს პროფსაბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნება „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს V კონფერენცია.

დასაწყისი 12 საათზე.

დელეგატების აღრიცხვა იწარმოებს პროფსაბჭოს შენობაში დილის 10 საათიდან.

„განთიადის“ ცენტრალური საბჭო.

6 აპრილს

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის ორგანიზაციის მუდმივმოქმედ ლექტორიუმში (ლენინის ქ. № 85) შედგება საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის ორგანიზაციისა და რესპუბლიკის სპორტკავშირის პროპაგანდის ფედერაციების ბიუროს ინტერნაციონალური აღზრდის უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა.

დასაწყისი 17 ს. 30 წ.

თბილისის სპორტული ბუნაგი

შაშკა. საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი. ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). 3 აპრილი. XI, XII და XIII ტურებში გადადებული პარტიების დამთავრება. დასაწყისი 17 ს. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბი (ლენინის ქ. № 14). 4 აპრილი. XIV ტური. დასაწყისი 17 ს.

ფეხბურთი. „ბურევესტნიკის“ სტადიონი. 3 აპრილი. „ა“ კლასის II ჯგუფის გუნდების ჩამბანაგური შეხვედრა. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ენერგეტიკი“ (დუშანბე). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 16 ს.

აკადემიური ნიჩაოსნობა. „თბილისის ზღვის“ წყალჯომარდობის სადგური. 3 აპრილი. თბილისის პირადი პირველობა. დასაწყისი 17 ს.

რეგბი. „დინამოს“ სტადიონის სათადარიგო მინდორი. 3 აპრილი. თბილისის პირველობა. 13 ს. „დინამო“ I — „ლოკომოტივი“. 15 ს. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — უნივერსიტეტი.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. УЭ 04908